6725/3-81/23 2 13092023

6725/3-81/23
13-09-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს,

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2023 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით, 8 თვის ინფორმაცია, მთლიანობაში რამდენმა თანამშრომელმა დატოვა საკუთარი განცხადების საფუძველზე სამუშაო პოზიცია შემდგომ უწყებებში :
გენერალური ინსპექცია, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, ობიექტების დაცვის დეპარტამენტი, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები. ამასთანავე, შსს-ს საქვეუწყებო დაწესებულებები: საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ასევე შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

2. სწავლობს თუ არა თქვენი უწყება კადრების გადინების შესაძლო მიზეზებს, დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მომაწოდოთ დეტალური ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი